

წელიწადი პირველი.

ახალი

# სიტყვა

№ 13.

ორგანიზაციული ქურნალი.

№ 13.

მიიღება ხელის მოწერა სასულიერო მთავრობისაგან დამოუკიდებელ ორკვირულ უურნალ „ახალ სიტყვაზე.“ უურნალის მიზანია ჩვენის ეკლესიის ცხოვრების განხალება ჭმ. სახარების ნიადაგზე და ბრძოლა უსამართლობასთან და ფარისევლობასთან სასულიერო უწყებაში.

ხელის მოწერის ფასი ნახევარის წლით ცხრა მანეთია. ცალკე ნომერი თოხი აბაზი. რედაქტორი სოხოგა სამრეკლო საბჭოებს,

შეგნებულ სასულიერო და საერო მორწმუნე პირთ დახმარება აღმოუჩინონ მას უურნალ ის გამოწერით და ერთ დროული შემოწირულებით სარედაქტო ფონდისათვის.

ფული მიიღება რედაქტორის მოლირე მღისავ ჩეკურაშვილთან: ტფილისი, ანჩის ხატის ქუჩა, სახ. № 1.

სარედაქტო მასალები და წერილებუნდა გამოიგზევნოს სარედაქტო კოლეგიის რწმუნებულ მღ. ქ. ცაცქიშვილთან: ტფილისი, კაბეგეროვის ქუჩა, № 47. რედაქტორი იმავე ქუჩაზე: № 51.



განვებითა ღვთისათა 18 ენკენისოფე დღის პირველ საათზე უეცრად მიიცვალა ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი. დაკრძალვა მოხდა მიცვალებულისა ქ. ქუთაისში 24 ენკენისოფეს.

## 25 ენკენისოფე. თბილისი.

როგორც მკითხველებმა უკვე იციან გაზეთებიდან, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დაადასტურა მთავრობის პროექტი, რომოთაც დროებით ისპონა სამაზრო და სხრაიონო კომისარების ხალხის მიერ არჩევა და ამ მოხელეებს ნიშნავს თვით მთავრობა.

ჩვენის მთავრობის ულტრა-სოციალისტობაზე და უკიდურეს დემოკრატიზმზე ეჭვის მიტანა შეეძლებელია. დედა-მიწის ზურგებდა არ არსებობს კუნძული, სადაც მთავრობა საქართველოს დღვევნდელ მთავრობის უდრიდეს უაღრეს სოციალისტი და ხალხის უკლებათა ყოველ მხრით გაფართოვებას სურვილში. ყველაფერი ხალხს, ხალხისთვის და ხალხისგან, —ასეთია პრინციპი ჩვენის რესპუბლიკის აწინდელ მთავრობისა

მაშ რად წართვა, თუმცა დროებით, ასეთმა მთავრობამ ხალხს ზემოხე ენებულ კომისარების არჩევნების უფლება? ცხადია, იმიტომ რომ ამას მოითხოვს გარდამავალ ხანის განსაკუთრებითი პრობები; ეს საქართვა თვით ხალხის კეთილდღეობისათვის; ეს აუცილებელია, რომ ყოველი ვიგინდარა სხვა და სხვა ხრიკების საშვალებით ხალხის ბედის გამგედ

არ იქნეს „არჩეული“ და სახოგადოების ნაწილს უღირსდა არ წამოასკუპდეს თავზედ.

ხალხის ზნეობა და გონება ირდება ათ წლობით და არა თვეობით. რუსეთის ძველ მთავრობის მთელი ძალონე იქითქენ იყო მიმართული, რომ ხალხში მოქალაქობრივი შეგნება და საზოგადოებრივობა გაიქრო. და მან სავსებით მიაღწია ამ მიზანს სხვათა შორის ჩეგნუიაც. ამისი ნაყოფი ცნობილი ყაჩალური ბოლშევიზმი. და ახალი რევიმი ხმა რამდემსამე თვეში ვერ შესცვლიდა ბრძოს საუკუნოვან ფსიხიკას!

ეს შემკვიდრეობითი სენი წარსულისა და რუსეთიდან შემოპარული ანარქიული სულთა განწყობილება ჯერხნობით მაინც შეკრებლად ხდიან, რომ „თავისუფალმა“ არჩევნებმა კეთილი ნაყოფი გამოიღოს. და თუ სახეში მივრებთ იმ მწარე გაცვეთილებს, რომელიც მოგვცა სოფლის კომისიების პირველმა არჩევნებმა, თუ გონების თვალსაზრისით შევხედავთ საქმეს და არა დოქტრინულ დემოკრატიზმის საზომით, აქმ-და ყოველი მოხელე უსათუოდ ითხოვორმულიან ხმით უნდა იყოს არჩეული იმ, უვდა გამოვტყდეთ, რომ დღევანდელს პირობებში არამც თუ სამაზრო, სოფლის კომისიების არჩევაც სახითოთი. ამითაც დროებით, სანამ ცნოვრება კალაპოტში ჩადგენა, უნდა ნიშნავდეს თვით მთავრობა თვისი უფლებით განსაზღვრულ პირთა წრიდან. ჩვენ რომადა ვართ დარწმუნებული ას ზომის ლოგიურ და ფაქტურ აუცილებლობაში, თუ ჩვენს საზომითოებაში გონებამ სძლია პარტიულ გრძნობებსა.

მაგრამ თუ დღე ანდელს პირობებში რამენაირად სახითოთა არჩევა რომელისმე კომისიისა რომელიც შეიძლება ხვალ ვაჭარი იყოს, ზეგ მუშა და მას ზეგ კიდევ ისევ კომისარი თუ მისი მწერალი, — ამივე პირობებში ას წილ მეტად სახითოთა არჩევა მღვდლისა, რომელსაც ასე დღვილიდ ვერ გადააყენებ და ვერ გასცვლი-გამოსცვლი, რაოგანაც ის მოძვარია და დოლმატიურიდ ხელისხმული.

ცხადია, რომ მისი კანტროლი უნდა შეინდოს ხლისა სამრეცლოს სიხით, მაგრამ არჩევა, ან უკეთ ვოქვათ, დანიშვნა და და-

ფასება — ჯერხნობით მაინც ეკლესის ერთეულთა უფროსს, ეპისკოპოზს, რომლის არჩევა და უფლება ჩვენის მსჯელობის ცალკე საგანს შეადგენს. და ეს არ იქნება არც ეპისკოპოზის უფლებათა განდიდება, არც სამრეცლოს განივრულ უფლებათა შეზღუდვა. უამრავ მაგალითებიდან ვიცით, რომნამდვილი მრევლნი, რომელნიც მართლა ეკლესიურად ეკიდებიან საეკლესიო საქმეებს, თვით იძახიან, მღვდელი მღვდელია და აბა ჩვენ რა ვეცით, რომელი მღვდელი გმჯობ ნებაო, — და არჩე ნებს ასე ბითად აწარმოებენ თითო ოროლა მყვირალი და მემუშტ-კრავენი, რომელნიც, რასაკვირაველია, შესაფერ გასმრაჯელოსაც იღებენ კანდიდატებისგან. საჯაროდ სწარმოებს ულიკისა და სამარტვილო ვაჭრობა, რომელშიაც ის გამოდის გამარჯვებული. ვინც აწმყოში მეტს გაიღებს და მომავლისთვის მცირეს ყაბულდება.

როდესაც საქართველოს ეკლესის უდიდესმა მტერმა — ექსარხოსმა ნიკონმა შემოილო სარჩევნო უფლება, ეკლესის მოქირნებულება და მოწინავე პრესამ სასტრიკი ბრძოლა გამოუცხადეს ამ დამღუპველს წესსა, რომელმაც ელევის სისტრაფეთ შემოყიდა და შეპრეცნა სამღვდელოების წრე, და ჩვენს სიხარულის საზღვარი არ ჰქონდა, როცა 1912 წელს ეს უფლება გაუქმდა, თუმცა მას იმ დოოებით ის უპირატესობა მაინც ჰონდა, რომ რამდენიმდე მე საზღვრავდა რუსივაკტორ ეგზანტოსების თვითნებობას. დღეს კი ასეთი შიში საქართველოს ერთ ნულ ეკლესის არც ერთის მხრით არ მოელის, ხოლო თუ 1912 წლის წემდევ მასის სულიერი განწყობილება შეიკვალა, ეს შეცვლა უარესისკენ და ეკლესის მორების საიმერგებლოდ არის გადახილი.

რაშასადაც, ყოვლიდ შეუწყნარებელია დღეს სასარგებლოდ ვსცნოდ ისა, რაც უფრო გშეცობიან დროს დამღუპველიად მიგვაჩნდა და მართლაც ასეთი იყო, — და ამიტომ ჩვენის ეკლესის მეცნობათა ვალია გაბედულიად ხმა ამოილონ დღევანდელისებურ არჩევნების წინაღმდეგ.



## მორიკი საკითხი.

(დასასრული).

წინა წერილში\* ) აღნიშნეთ რომ ის ჩვეულისა ბანა ჩენს ეკლესის ცხოვრებისა, რომელსაც მიზანშონილია თასით გრება ასებულ წესტყობილებისა ახალის შესაქნელად და სხვათა შორის უარყოფა ჩვეულებრივის დისკლინისა, ნაყოფიერად დამთავრდა და ამტომ საჭიროა დაუყოვნებლივ განიტკიცებულ იქნას საეკლესიო დისკლინისა, ურომლისოდაც პატივი დებდება (და რამოდენადმე აეხადა კიდევაც) არამა თუ სამღვდელოებას, თვით გვლესისა და სჯულსაც.

მაგრამ რა ზომებით და რა სახით უნდა მოხდეს ესა? რასაკვირველია, არა იმ იარაღით, რომელიც ხელთ ეპყრი ყოფილ რუსეთის „უწმინდეს“ სინოდს და არა იმ პირუტყვულ შიშით ძალის წინაშე, რომელსაც ყველ უმცროსს უფროსისადმი გულში უნერიავდა და სხვადასხვა ზომებით განუწყვეტლივ უღვივებდა ძველი ჩემი, როცა მეღავითნე მღვდელს შინ მოჯამავირესავით ემსახურებოდა, მღვდელი ბლალობინს პირის საბან წყალს მიართმევდა და უზანგს უჭირდა, გამოთხვევებისას ერთხელ კადევ გადმომივლოს მოწყვალების თვალით, ბლალობინი ბრაგვით იჩოქებდა ეპისკოპოსის წინაშე, კარგ გუნებაზე დავაყენო ჩემი მბრძანებელიო, და ეპისკოპოსი კიდევ სრული „თვალი“ იყო ეკლესისა, კანონმდებელი და მბრძანებელი, განსაკუთრებით თუ ის რუსი იყო.

არა! ვგონებ, ვერ გამოჩნდება ვერც ერთი ალექსანდრე მაკედონელი თუ პაპი გრიგოლ მეშვიდე პილდებრანდი, ვისაც ვითომ შეეძლოს კვლივ აღადგინოს ცხოვრებაში ეს ველური სუბორდინაცია, და თუ ვინემ შესძლო ესა, ის იქნება უსაშინელესი მესაფლავე მონაპოვარ თვითსუფლებათა, რომელიც დაუყონებლივ უვდა დაასამაროს საზოგადოებამ.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ვი-

თომ უმცროს-უფროსობა და ესრედ წოლებული სუბორდინით საჭირო არ იყოს. პირიქით, რამდენად მეტად თავისუფალია სახოვალოება, იმდენად მეტად განსაზღვრული უნდა იყოს ყოველ მის წევრის უფლება—მოვალეობათა ფარგალი და გაფართოვებული პასუხის მგებლობა უფროსისა და კანონის წინაშე. ჩვენ ჯერ შორის ვართ იმ დროზე, როცა დისკლინინა ამა თუ იმ პირის პარტიულ თუ კასტიურ შეგნებულებაზე იქნება მიგდებული. „ამხანაგო, თუ უწესოდ და შეუფერებლივ მოიკცევი, კოლლეგია გაგრიცხავს“, — ეს სიტყვები ჩვენს დროში არავის არაფერს ავალებს, გარდა მთემელის უძლურებისადმი სიბრალული, ღიმილისა, და უფრო აფუჭება საჭმეს, ვიღე სრული უყურადღებობა. ვისაც იმდენად აქვს განვითარებული უფლება—კანონიერების გრძნობა, რომ ეს და მასი მსვავსი დარიგება სასჯელად ეჩვენება, იმისთვის მეტია თვით ეს დარიგებაც, ის თვით დისკლინის განსახიერებებისაც, მოციქულის სიტყვებით რომ ვთქვაო, კანონს გარეშეა. მაგრამ ასეთები ხომ თითებზე ჩამოითვლებიან. ეს წვეთია უსამძღვრო ზღვის სივრცეში. ბი როცებისა და ანარქიისადმი მიღრეკილ ნებისთვის ამ ზომით ჯერჯერობით ვერ ალაგმავთ—და ამიტომ დროებით ძალაში უნდა დარჩეს ყველა არსებული ზომები დამნაშევრის დასჯისა შთაგონებილან და ჯარიმიდან მოყოლებული ვიღე სამსახურიდან გადაყენებამდე.

მათებატიკურ სისწორით განსაზღვრული უფლება-მოვალეობანი და ცოცხალი, პრადი მაგალითი უფროსის უმცროსის წინაშე—ი ის ქვა-უთხედი, რომელზედაც უნდა აშენდეს დისკლინა ეკლესისა, როგორც დაწესებულების, და სამღვდელოების, როგორც კონკრეტური ციტატისა. ჩვენ მა გლეხსიამ უარსკო ეპისკოპოსის პირადი თავაღობა და საკანონმდებლო ბრძანებლობა, მაგრამ სამაგიეროდ მიანიჭა მას სრული მოციქულებრივი სახე უფროსობისა, როცაც იგი მთელი საუკუნე მოკლებული იყო. ეპისკოპოსი არის ეპარქიის საწმუნოებრივ—ზეობრივ ცხოვრების ხელ მდღანებლივ „დებულებათა წ 16“ და მისს

\* ) „ა. სიტ.“ № 12.



განსაკუთრებით, ხელუხლებელ უფლებას შეადგენს სელდასხმა ანუ ქიროტონია, რომლის დოღმატური იცეა თვის არსებაში შეიცავს ხელდამსხმელის აზრის, ნებაყოფლობის და სამჯავროს უსამხლერო უფლებას ხელდასხმულის თინივისის წინაშე.

ეპისკოპოსის პიროვნება ის წყაროა, რომელიც თავისებურ ელფერს აძლევს მის გარეშემო აღმოცენებულ ხეტყეს. თუ სუფთა და უხვით ეს წყარო, ხარობს და სურნელს აფრიკევს მისგან დამოკიდებული მცენარეულობა. თუ უძლეური და ან მოშხამულია ისა, კენება და ილუბება ყოველივე ნაყოფი მის გარშემო და მის სადენზედ...

აი აქ არის სათავე დისკიპლინის და პასუხისმგებლობის გრძნობისა. ეპისკოპოსიდან დაწყებული ზემოდან ჩამომავალი წესიერება და კანონიერება თვისი სიცხადით და ზნეობრივ ავტორიტეტით ქვემოდ უნდა აქარწყლებდეს და რკნის რგოლებით ბოჭიდეს უმცროსებში ბოროტ ინსტიქტს და ყოველსაერ სურვილს უწესოდ ქცევისა და ნებადართულის სამხლერების გადალახვისა,—და რამდენად იერარქიულიდ ახლომ რომელიმე საეკლესიო თანამდებობის პირი ეპისკოპოსთან, იმდენად მცტი უნდა იყოს მასში სურვილი ზემოდ იბაძვის და ქვემოდ კეთილ მაგალითის მიუმარსა. „ამა, შემომხედე, როგორ ვიქცევი მე, და შენც ასე მოიქციო“—თამამიდ უნდა შეეძლოს ყოველ უფროს უთხრის უმცროსა: ეპისკოპოსმა მღვდელს თუ წიგნის მკითხველია, ამთ კიდევ მახურისა და სხვა ხელქვერთა. და ეს იქნება საუკეთესო და იგება და ქადაგება, რომლის უკეთესო იქრობილია ვერ უთქვამს; ეს იქნება ის მაღლიანი დანა, რომლითაც გამოცდილი დოსტაქარი თამამად აშორებს სხეულის ნაწილს მასზედ ამოსრულ ხორცმეტსა. მაგრამ ოცა უკანასკნელი იმდენად გარიულებული, რომ მისი მოშორება ცალკე შეუძლებელია, მაშინ თვით ნაწილს აშორებენ სხეულს—და ამიტომ ძალაში უნდა დარჩეს ყოველივე სასტიკი სახელი, რომელიც ჰქვეთს ბოროტ ნების და გაფუჭებულ ბუნებას.

გის.ც პირადი მაგალითი ვერ გაასწო-

რებს, იმას საბრჩობელის აქით ვერაფრთხოებულია აშინებ,—და მას აღვილი არ უნდა ჰქონდეს არც სასულიერო წოდებაში და არც ეკლესიის გარეშემო. სინოდალურმა „ღვთისმეტყველობამ“ ერთნაირი ყალბი თეზისი შეჰქმნა დაბალ ღირებულობის სამღვდელოების მისაშველებლიდ: შენ იმას ნუ უყურებ, როგორ იქცევა ცხოვრებაში სამღვდელო პირი, და ნუ მიბაძვ მას, თუ ის ცუდად იქცევაო: შენ იმას უგლე ყური, რასაც ისინი ენით გუბნებაან, და მა დარიგებისამებრ მოიქციო... ეს იეზუიტური მორმლია, რომელმაც თავისდა უნებურად დაბადა დასავლეთში ლიუტერანობა მისი მრავალ შტოებითურთ, რუსეთში სექტები და მწვავებლობა, ხოლო ჩვენში უფსკრული ეკლესია და ინტელლიგენციას შორის.

არა, პატონებო! ასეთ შემთხვევაში ყველას, თვით ბალდსაც კი შეუძლიან პირში მიგახალოთ მაცხოვრის სიტყვები: „მკურნალო, განიკურნე თავი შენი“ და თქვენ მას სიტყვას ვერ შეუბრუნებთ, ვინაიდგან იგი ცამდინ მართალი იქნება. ჯერ საქმე, მეტე სიტყვა; ჯერ მაგალითი, შემდეგ დარიგება; პირველად თქვენი განძი და მის ღირებულება მაჩვენეთ და მეტე მომთხოვეთ მისი ფასი და პატივი.

აი მიტომ საჭირო და აუცილებელია, რომ ა) ფხიზელი და უდიადესი ყურადღება მიექცეს სამღვდელო და ერთობ საეკლესიო კანდიდატების ზნეობრივ მხარეს და ნაკლებ ჰქონდეს გისავალი იმ ზღაპრულ დაპირებებს, რითაც ეს კანდიდატები აბრუებენ მრევლთ ტრიევნების დროს, აქამ და ოლონდ ამირნიერ და არაფერს მოგთხოვთ, ჰაერით გამოვკვებავ ცოლშვილსა და წმილადაც დაგედებითო,—და ბ) საქართველოს განახლებულ ეკლესიის მთავრობამ აღვილობრივი საეკლესიო ორგანიზაციებითურთ „მოასეგნოსა“ და სამუდამოდ არქიეს ჩაბარონ ის სამღვდელონი და ეკლესიის მსახურნი, რომელთა გასწორება მხოლოდ საფლავს შეუძლია. ვინც ექსარხოსების დროს ზარმ ცი, თავხედი, მოთამაშე, ლოთი, მექრთამე, მრუში, ურშმუნო და გაფუჭებული იყო, იმას ვერამც თუ საკათო-



ლიკოზოს ლმობიერი რეგიმი, თვით ცეცხლიც ვერ გადადნობს, — და ისინი უნდა მოშორდნენ საკურთხეველისა. თუ ეს არა ჰქნეს ექსარხოსებმა, რომელნიც ფიქრობდნენ, არა დენად ყოველ მხრივ დაქვეითებული იქნება საქართველოს ეკლესია, მით უკეთესია რუსეთის ეკლესისა და მისი სინოდისთვისათვის, ეს უნდა ჰქნას ჩვენმა საკუთარმა მოაგრობამ.

და ეს არ იქნება სისასტიკე. პირიქით, ეს იქნება ეს ტაქტიკა, რომლითაც რევოლუციამ ძველ მოხელეთა უმრავლესობაც კი დაითხოვა აღვილებიდან. ეს იქნება ის გონივრული სამართალი, რომელთაც ვერ და არ შეიწყნარა დიდი სოდომი და პომორი დამნაშავეებთან ერთად უმანკონიც ამოსტყვიტა, რომ არე-მარე გადაენირჩუნებინა ზნეობრივ სენისაგან. უაშისოდ შეუძლებელია ის ფაქტიური განახლება ეკლესისა, რომელსაც საჯაროდ ასე ვნატრულობთ მიმთალნი და მტკუანნი.

დეკ. ილ. შუბლაძე.

## სარწმუნოება და ზნეობა.

(გაგრძელება \*)

თუ კი ასეთი ცვლილება შეიტანა მაცხოვარმა ჩვენს ცხოვრებაში, თუ კი ასეთი დიდი ამაგი დასდო მისმა ქადაგებამ და მოძღვრებამ კაცობრიობას, როთი აიხსნება ის გულტვობა სარწმუნოებისადმი და თითქმის უარყოფა მისი, რომელსაც ვამწევთ, ჩვენდა სამწუხაროდ, საზოგადოებაში? რა არის მიზეზი, რომ თანამედროვე კულტურა უარსა ჰყოფს ქრისტეს და ქრისტეს მოძღვრებას, სახარებას? ახლანდელი კულტურა, თუმცა ქრისტიანულად იწოდება, მაგრამ დრდათ განსხვავდება ქრისტიანულ სწავლა მოძღვრებისაგან ადამიანის და მისი ცხოვრების მიზნის შესახებ. ახლანდელი კულტურა არის კულტურა პირიადის კეთილდღეობისა, ადამიანი თავისი ნიჭისა და ღონების ანდობებს, განსაკუთრებით შეტის სიმღიდრის მოპოვებას—მოხვეჭს. საიდგან დაიბადა ასეთი მიმართუ-

ლება, რამ გამოიწვია იგი? ამაზე პასუხისმომავალი ლევა ისტორია.

საშუალო საუკუნოებში დასავლეთ ეკროპაში ქრისტეს მოძღვრება გაიგეს როგორც ბუდის მოძღვრება. ცხოვრებაში გამეფდა ასევეტიში. დაიწყეს უარყოფითი ქიდაგება ყოველივე ქვეყნიურზე. მის მაგიერ, რომ ყოველივე საკითხი, მოვლენა ჩვენი ცხოვრებისა გაეშუქებიათ, განესცეტაკებიათ ქრისტეს მოძღვრებით, ხორცი, ყოველივე ხორციელი, ქვეყნიური დამცირეს და მთხელ უარყოფითი შეხედულობა გავრცელეს. ამის დართო მეორე არა ნაკლებ სამწუხარო მოვლენაც. მესამე საუკუნეშივე დაიწყო ეკლესის, რომ იგი ძლიერ შორდებოდა სახარების იდეალს და იხრებოდა ძველის ოთვების ნომიზმისაფენ. რომის პაპებს გაეღვინდათ მადა და მათ ძარღვებში დაიწყო მოძრაობა ძველი რომელების სისხლმა. რომაელების კერპთაყვანის მცემლობის სარწმუნოების ცერემონიალური ხსიათი გადავიდა საქრისტიანოში. კერპთაყვანის მცემლობის დროს უფრო იყო შეწყნარება გარეშე სარწმუნოებათა, სადაც ეს საზარალო არ იყო სახელმწიფოსათვის, ვინემ ეხლა. საშუალო საუკუნოებში ისე გაძლიერდა პაპების და მათთა მსახურთა ფანატიკოსობა, რომ ამის მსგავსს მხოლოდ ისლამის თაყვანის მცემელთა შორის იპოვნიდა კაცი და ისიც პირველ ხანებში, როცა მეტის შეტიად იყვნენ ისინი გარაცებულნი თვითი სარწმუნოებრივი მოძღვრებით. მნაირმა მიმართულებამ საზოგადოებაში წინააღმდეგობა გამოიწვია, დაიბადა ახალი მიმართულება, ეგრეთ წოდებული გუმანიშმი.

გუმანიშმა საესებით უარყოფა რელიგიური მოთხოვნილება ადამიანისა და მოინდოვა კაცობრიობის წინსვლა დაეყენება ახალ გზაზე. სიმძლვარე იეზუიტებისადმი, რომელთაც გასთელეს ადამიანის პირვენების უფლებები, გაძლიერდა და საზოგადოების ერთი ნაწილი იქამდის მიედიდა, რომ სარწმუნოება გამოაცხადო ადამიანის ლიტერატურებად და უარ ჰყო იგი. დაადგინეს, განათლება მხოლოდ გონების განვითარებით უნ-

\*) თახ. სიტყვა № 12.

და მოხდეს; ზნეობრივი პრინციპები აღამიანდა მხოლოდ თავის თავში, თავის ბუნებაში უნდა ეძიოს; თვითონ უნდა იყოს თავის თავისათვის როგორც კანონმდებელი, ისე მსჯული. მიზანი, რასც უნდა ელტოვდეს ცხოვრებაში, მარლი, რომლის მოპოვებისათვის და შეძენისათვის არ უნდა დაწოვოს თავისი ძალალონე და მოახმაროს დრო, არის ქვეყნიერი ბედნიერება.

### ბაჯითელი.

(დასხარული იქნება).

## პრესა.

ქვენს ძველ ნაცნობ თეოფ. ხუსკივაძეს თურმე „დღიურ სიცხადით გულდაჩაგრულსა ძილში ეღირსა ტკბილი სიზმარი“, რომელსაც იგი „ლფრთოვან ებული უზიარებს მართლა მორწმუნე რა ქუთათურ გაზ. „ქვენი ქვეყანა“-ში (№ 145). ბ. თეოფალე მისთვის „ქვე ლებრივ“ პრეზიდენტ კირიონ მეორის დაკრძალვას და თვით სიზიარს ისე გადმოგვცემს:

„მოიწამლა გონება. გაცრუედა ტკბილი იმედები (ვისი?). გამიტაცა მწარე ფიქრებმა, წამიყენა შორს. შორს.. ეკლესის გუმბათს ამაზორა და აქ კი ცა უცებ მოილრუბლა. ჰექა-ელვემ გაანათა ცის ტატნობი, ქარმა მირეკ მორეკა ლრუბლის კონები, ერთად შეპკონა მის ნაფლეთები და კლდის ნანგრევებივით აქეთ-იქით სიანის გუმბათს თავზე წამოაყედა. ლრუბლებიდან ხელოვნურად შექმნილ კლდის ნაპოალებში, ვიღაც ტანჯული სახის მერთალი აჩრდილი მოსჩ. ნდა. კლდის ნაპირას, ცივ ქვაზე მუხლმოდრევილიყო, ღრმა ფიქრებს შეეპყრო და თავდავიწყებული სადღაც უსაზღვრო სივრცისაკენ გაიყურებოდა. ხან ძირს ყვავალ ვარდებში ჩადგმულ კუბოს აკვირდებოდა და გულნატკენი თავის თავსვე განციფრებით ეკითხებოდა: ეს ვინ არის, აი ის აი, ეკლესის კუთხეში რომ მიმალულა და სინიდისის ქერქნით სახე შესცვლია? ან კიდევ ის, აი ხალხში რომ დაძრწის და უცნაურ ხებს ჩემზე აუცელებს? ღმერთო ჩემო, ვის რა დაუშავე? ნეტავი რას მერჩინ? ლეში ხომ მანდ დაგიტოვეთ, სული კი ჩემი საკუთრებაა, ის მაინც დამანებეთ. რაღაც შერჩით, რას? სოჭვა ეს და მწარედ აქვითონდა. მის ქვითინზე ლრუბლები შეინძრენ. მოღრბულმა კაშ წარბები გამართა, სახე გადიწმინდა და უცნობის აჩრდილი ლრუბლების ნაფლეთებში სა-

დღაც მიიმართა, ამასობაში შეც გამოვტხილდებოდა დღაც გამოტხილდა კი? სეკვეოა. თორებ რა განსამეორებელია, რა მოელანდებოდა კლდის ნაპრალებში აღამიანს, როცა ძაჯლა-ჯუნა დააწვება გულზედ! ვიღაცის სინდისის ქერქნა, კუთხეში მიმალული, ხალხში ძრწოლა, გაცრუებული იმედები, ლეში და უცნაური კითხვები აჩრდილისა—ეს ხომ ცხადი გაგრძელებაა ავალმყოფურ ბოლვისა, რომელიც ვაღაცა ცოცხალს რაღაცაში ატყუნებს...

არა გვყონია, რომ „ცის ტატნობზედ“ მოსრიალე ხუსკივაძე მეტი იცოდეს ამ საქმისა, ვიდრე დედამწახედ მოარულმა, ამ საქმისათვის სიგანგებოდ მიჩნილმა გამომძიებელმა იცის.

შეგრამ ხშები და ნათქვამი არაფერი საზომია ქეშმარიტებისათვის. და ამიტომ ჩვენ დაბეჯითებით მოვითხოვთ, რომ ქვენმა უმაღლესმა სასულიერო მთავრობამ სთხოვოს ისტიციის მინისტრსა. რომ გამოქვეყნებულ იქმნებს გამოძიების უსკვნა და მით ერთხელ სამუდამოდ მოეღოს ბოლო როგორც ხუსკის ვაძისებურ ცრუ პოეზიას, იგრძოვე „ტრალიკულ და კარგვისა გარეშემო ატებილ უცნაურ მითქმა-მოთქმას, განგაშს და გონების მოწავლელ ცრუ მოსაზრებათ“.

## საჭიროა.

მრივალ რეფორმითა შორის, რომელთა განხორციელებას შეუდგა ჩვენი საერთო მთავრობა, მაწის მფლობელობის რეფორმის უკირავს პირველი თუ არა, თვეულს ჩინო აღილი შაინც.

მამულ-აღილები, ტყე— მინდორი ჩამოერთვა მესაკუთრების და მათ შორის ეკლესია-მონასტრებისაც, მაგრამ სულ უკულებულ-ყოფილი და უნუგეშოდ დატოვებულნი არ არიან კერძო მესაკუთრები, მათ შვიდ-შვიდი დესეტინა მაინც შერჩათ ვენისები და თხუთმეტი დესეტინა სახნავ-სათესი აღილები.

ეკლესია-მონასტრებს კი ესეც არ დარჩათ, თურმე მათთვის არ არსებობს კერძო მე-

საკუთრეოთვის დაწესებული ნორმა, გალა-  
ვან გარეთ მათ საქმე და აღვალი არიან აქვთ.  
ჩვენი ისტორიული მონასტრები, რომლებიც  
ეხლა შტატის მონასტრებად არიან ცნობილ-  
ნი, სადაც სახოვრობდნენ ბერები, საზრდოობ-  
დნენ იმ აღილ-მ მულით, რომელიც მათ უწყა-  
ლობა რესერის მთავრობამ საკულტურის ადგი-  
ლების ჩამორთმების შემჯე, ამ ადგილების  
შემოსავლით ისინი უვლიონენ თავს და თვის  
ყარაულებს ბერებს. ხოლო რომელ მონასტ-  
რებსაც კი არ დაუტოვეს რესერის ადგილი, ისი-  
ნი ეხლა გაოხებულ-გავერანებულნი არიან  
და შექმნილან ტურა-მგელთა, ყვავ-ყორანთა  
და ჯოჯო-ხვლიკთა საენედ და სადგურად,  
კაცის თვალი მათ დანახვაზე იქცება ცრემლით  
და გული მწუხარებით.

სწორედ ასეთივე ბედი მოელის ჩვენს დი-  
დებულ სონას ტერ ეკლესიებს ახალ სამიწათ-  
მფლობელო რეფორმის განხორციელების შემ-  
დებ.

ჩვენ ნამდვილ და უტყუარ წყაროებით გავი-  
გეთ, რომ კახეთში, მაგალითად, ჩამოურთმე-  
ვიათ ვენახი, წისქვილის ტყე შუამთის მონა-  
სტრისათვის. ეს მონასტრი ამითი საზრდოობ-  
და და ირჩენდა თავსა. რა უნდა ჰქნას მონა-  
სტრერმა უვენახოდ, უწისქვილოდ, რომლებიც  
არიან ერთადაერთი წყარო მისის ცხოვრებისა  
და, თუ ასე შეიძლება თქმა, ფიზიკური არსე-  
ბობისა. ისიც ხომ ისე გავერანდა, როგორც  
გავერანებულ-გაოხებულია მის ახლოს ცე მყი-  
ფი ძველი შუამთა, შიოს ეკლესია თურდოს  
გაღმა, ბაისის ეკლესია და სხვანი მრავალნი,  
რომელთა სახელი შენ უწყი, ღმერთო! ასე-  
თივე ბედი შეხვდება ქებულს ალავერდს, და  
ყველა ეკლესიებს საქართველოში, — კანონი  
ხომ ყველასთვის ერთი იქნება! ჩვენდა სანუ-  
გეშოდ ისიც გავიგეთ, რომ აღძრულ იქმნა  
შუამდგომლობა, სადაც ჯერაოს, ამ მონას-  
ტრებს დატოვოს არსებობისთვის საქართ-  
ოდილი, როგორც ისტორიულს ნაშთებს პა-  
ტივსაცემად მთის ისტორიულის სახელისა და  
მსახურებისა საქართველოსთვის, როგორც ძეგ-  
ლებს ქართული საქრისტიანო ხროთ მოძღვრე-  
ბისა და სრული იმედი გვაქვს, რომ როგორც  
უმაღლესი დაწესებულება ჩვენი ეკლესის მა-

როველობის, ისე ჩვენში არსებული ალექსა-  
ლოგიურისტორილუ საზოგადოებანი მია-  
ქცევენ ყურადღებას ამ გარემოებას და დაი-  
ცვენ ისტორიულ ნაშთებს დალუპვისაგან.

მათ.

## შესაძლებელია თუ არა შე- მოკლება წირვა ლოცვისა?

რას მიწოდებთ მე „უფალო, უფა-  
ლო, და არა ჰყოფთ იმას, რასა მე  
გიტვით ოქვენ; ლუკ 6. 46 სტ.

როდესაც ლოცულობდეთ: ნუ  
იტყვით მრავალთა სიტყვათა, ვითარ-  
ცა წარმართნი, რომელნი ჰყონე-  
ბენ, ვითარმედ მრავალ სიტყვათა  
მათთა შეისმენს უფალი. მათ. 6-ი  
7-სტ:

ჩვენც მიგხევოთ უზენაესსა • მღვდელ-  
მთავარსა და მის მოძღვრებისაებრ ნუ ვიხ-  
მართ ლოცვაში მრავალთა უშინაარსო სიტყვა-  
თა და ნუ განვიმეორებო ერთსა — და იმავე  
სიტყვისა რამდენჯერმე: ნუ ვიტყვით: „მერ-  
მე და მერმეს“ ამდენ ჯერმე, ვეგმართ  
ერთეულ თვეშ: ნუ ვიტყვით; ვანვედით, გან-  
ვედით, როდენი კათა კმეველნი ხართ განკუ-  
დით; — ვიკმართდ მხოლოდ მორწმუნთა ლოც-  
ვით, რადგან ჩვენ დღეს კათა კმეველნი აღარა  
გვყანან. ნუ ვიტყვით ოჯერ და სამჯერ  
მოგვმაღლეს კვერექსა... და სხვანი. არიან  
ბევრნი ლოცვანი, რომელთა ხმარება დღეს  
არა ვითარ საჭიროებას არშეადგენს.

მკისვე უდებმა იციან, რომ დღეში სამჯერ-  
არის ლოცვის დრო; დილით, შუადღისასა  
და საღამოთი. წინამდღვანს ნება აქვს, დრო-  
თა გარემოებისა გამო, რამდენათმე შეამ-  
ციროს დილისა და საღამოს ლოცვა, ხოლო  
შუადღის ლოცვა წირვისა (ლიტურღისა)  
არც შემცირდების და არც მიემატების. ნება  
არა აქვს, პირ-იქით უფლ საგან სასჯელს მოე-  
ლის თუ და კლებს ანუ მოუმატებს.

დღეს, ათონის მთაზედ შედგენილი ტი-  
ბიკონი ჩვენში აღარ გამოდგება, რადგან დრო-

თა მსელელობამ ხალხიც შესცვალა და თვით დროც. ჩვენმა სასულიერო მთავრობამ უნდა ამ საგნის განსაზილველად დაინიშნოს საკუთარი კამისია, რომელიც უნდა შესდგებოდეს შეგნებულ სასულიერო პირთაგან. მათ უნდა განიხილონ როგორც წირვა—ლოცვის შემადგენელობა, ისე მოძრავ დღესასწაულებისა და მარხვების განსაზღვრა ხალ სტილთან შეფარდებით. მანვე იქონიოს ყურადღებაში, შესაძლებელი იქნება თუ არა მუსიკის ხმარება ეკლესიაში და დასაჯდომების გაკეთება. ეს რაც ადრე და ჩქარა იქნება, უფრო საუმჯობესოა, რადგან დაყოვნება ამისი დაბადებს მრავალს არეულებას სხვა და სხვაობას და გაუსებრობას.

### სხერტელი

1918 წელს 26 ივნის თვითონი.

## ქრონიკა

როგორც გაზეთები იუწყებიან, რუსეთის და განდელმა მთავრობამ სცნო საქართველოს დამოუკიდებლობის:

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ვ ამ ენკინისთვეს დადგინა: „გამოცხადდეს ქართული უნივერსიტეტი სახელმწიფოს უნივერსიტეტად და დაერქვას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

თბილისის ავლაბრის მთავარ-ანგელოზის ეკლესია, რომელიც ჰარშან „იერიშით“ აიღს და მიისაკუთრეს რუსებმა, პატრიარქ-კათოლიკიზის მოსაყდრებმა მიტროპოლიტმა ლეონიდემ უკვე დაიბრუნა და ჩააბრუ კანონიერ წინამდებარეს, დეკანოზ დ. იაშვილს. ექს-წინამდებარი ხიტროვი უადგილოდ დარჩა.

დეტ. ხერგი გორიდეცხა, რომელიც ამას წინეთ გაგზავნილი იყო რუსეთში და თავისი ნებით დაბრუნებისთვის ოთხი თვე იჯდა ციხეში, მთავრობამ საბო-

ლოვიდ გააძევა საქართველოს ტერიტორიიდან. ის დღეს მსახურობს „საზღვარ გარეთ“, — ქალ. განვაზი, იმ საყდარში, სადაც ამას წინეთ განსვენებული მძინარიშვილი იყო წინამდღვრად... ყოფილ სინოდა-ლურ კანტორის პროკურორი ვ. პოპოვი დამბლით გახდა ავადა... ყოფილი საეპარქიო პისინები ა. პლატონოვი ისვე თბილისში ბრძანდება. მას თურმე არ უშვებს ექს-ევგზარქოსის კირილეს მოადგილე „განჯის“ ეპისკოპოზი თეოფილაქტე, შეიძლება ისვე საჭირო გახდეო. აღმად ქართველების „მოჭრი-სტიანებას“ თუ აპირებენ!

✓ აღვილობრივ კრებულის დაუდევრობის წყალით, კვეგის წმ. ნინოს სასაზღვროს ეკლესიაში დღეს თრი წინამდღვარია—გიორგი გამრეკვლოფი და ალექსანდრე ნოვეკვეთი... რომელია მათში უფროსი, თვით აღლაპმა არ უწყის. საჭიროა დაინიშნოს ნამდვილი წინამდღვარი.

მოვაგონებით თბილისის კვირაცხოვლის „წინამდღვარს“ ვლადიმერ გურგენიძეს, რომ ის ვალდებულია გააგებინოს სამრევლოს, თუ ვისი კვეშევრდომია იგი,— საქართველოსა, როგორც უნდა იყოს, თუ რუსეთისა, როგორც აშას წინეთ სწერდა „სახ. გაზეთი“.

თბილისში ხმებია, რომ ქიზიყის სამდვლელოება „გარფიცაო“.

მიტროპოლიტმა ლეონიდმა ინაბულა ხაზმის და დავით გარეჯის მონასტრები და ახლო—მახლო სამრევლოები.

გამომცემელი ქ. ტფილისის სამდველოება. „ახალ სიტყვის“ სარედაქციო კოლეგიის რწმუნებული დეკ. ქრ. ციცქიშვილი.